

საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, NN21-22, მუხ. 455) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს მე-4¹ პუნქტი :

4¹. პარტნიორები დებენ გარიგებას, რომლის საფუძველზე აწესრიგებენ საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორების ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს. პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი, რომელიც შეიცავს ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 მე-2¹ პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს და რომელიც რეგისტრირდება რეესტრში არის წესდება. პარტნიორთა გარიგების ნაწილი, რომლის რეგისტრაციაც არ არის სავალდებულო არის პარტნიორთა შეთანხმება, რომელიც იდება მარტივი წერილობითი ფორმით და შეიძლება იყოს ნებისმიერ ენაზე.

2. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 5. მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები

1. დაინტერესებული პირი საწარმოს რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს.

2. საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნაში განცხადებას უნდა დაერთოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული წესდება (პარტნიორთა შეთანხმება), რომელშიც სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს:

ა) საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება;

ბ) საწარმოს სამართლებრივი ფორმა;

გ) საწარმოს იურიდიული მისამართი;

დ) საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;

ე) საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტული საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები შპს-ს პარტნიორთა/კომანდიტთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ;

ვ) პარტნიორებს უფლება აქვთ არ დაარეგისტრონ გადაწყვეტილების მიღების წესი, იმ შემთხვევაში თუ პარტნიორები რეესტრში წინამდებარე მუხლის მოთხოვნების დაცვით მიუთითებენ სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილ პირს, მისი უფლებამოსილების ფარგლებს, ასევე უნდა მიეთითოს რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის უფლებამოსილებები, ზღუდავს თუ არა ამ კანონის მე-51-ით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილი პირების სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის უფლებამოსილებას.

ზ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – აღნიშვნა, რომელი პარტნიორია შეზღუდული და რომელი – სრული.

თ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტული საზოგადოების შემთხვევაში შპს-ს პარტნიორთა/კომანდიტთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

3. საწარმოს რეგისტრაციისათვის წესდებასთან და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტაციასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს დოკუმენტი, რომელშიც მიეთითება საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი. თუ სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი იურიდიული პირია, უნდა მიეთითოს მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ; თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს, უნდა მიეთითოს, ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს თუ ცალ-ცალკე. დოკუმენტს ხელს აწერენ საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირები, რაც დამოწმებული უნდა იქნეს სათანადო წესით.

4. სარეგისტრაციო დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, თუ უფლებამოსილი პირები მას ხელს მარეგისტრირებელ ორგანოში აწერენ. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ხელმოწერის დამოწმების წესი და პირობები განისაზღვრება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

5. თუ საწარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), არიან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ შესაბამისად საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსათვის დადგენილ

ეკვივალენტურ მონაცემებს. სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტების ეკვივალენტურობის დადგენის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით. უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში მისი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.

6. საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია, ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილი იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი.

7. რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება.

8. თუ საწარმოს საქმიანობა დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან, რელიზაციასთან, საკვებწარმოების ობიექტებთან, სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში აღნიშნულის მითითება სავალდებულოა. საწარმოს საქმიანობის რეგისტრაციის დამატებითი პირობები განისაზღვრება ინსტრუქციით, ხოლო საფასური „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. მე-5¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს (პირებს) ან სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილ პირს. აღნიშნული არ ზღუდავს პარტნიორების უფლებას რეესტრში დარეგისტრირებული გადაწყვეტილების მიღების წესის შესაბამისად უზრუნველყონ სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია. ეს ვალდებულება არ ზღუდავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან სხვა დაინტერესებული პირების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილების რეგისტრაცია, თუ წესდებით ან/და პარტნიორთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების დამადასტურებელ დოკუმენტს ხელს აწერს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირი ან სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილ პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ შემთხვევაში, დამატებით პარტნიორთა შეტანხმება არ მოითხოვება. თუ დოკუმენტს წარადგენენ პარტნიორები, დოკუმენტს ხელი უნდა მოაწერონ პარტნიორებმა რეესტრში რეგისტრირებული გადაწყვეტილების მიღების წესის შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი წესით. წილობრივი მონაწილეობის ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ საჯარო რეესტრში დოკუმენტის რეგისტრაციის შემდეგ.

3. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება ასევე გულისხმობს სარეგისტრაციო დოკუმენტებში ცვლილების, ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის პროცესის, ასევე გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყებისა და შეწყვეტის, ლიკვიდატორის, რეაბილიტაციისა და გაკოტრების მმართველის შესახებ ინფორმაციის ასახვას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრში.

3. მე-5³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მოთხოვნა რეგისტრაციის შესახებ ან სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს;“

4. მე-5⁴ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ფიზიკური პირი ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისათვის/ცვლილების რეგისტრაციისთვის მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს განცხადებას და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას. განცხადებაში უნდა მიეთითოს:

- ა) განმცხადებლის სახელი;
- ბ) ინფორმაცია საწარმოს ადგილსამყოფელის(იურიდიული მისამართის) შესახებ.
- გ) განმცხადებლის პირადი ნომერი;
- დ) განცხადების შევსების თარიღი;
- ე) განმცხადებლის ხელმოწერა.

5. მე-5⁶ მუხლი ამოღებულ იქნეს.

6. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6 პუნქტი:

„6. საფირმო სახელწოდება უნდა იყოს შედგენილი სახელმწიფო ენის შესაბამისი გრაფიკული ნიშნების გამოყენებით. თუ საფირმო სახელწოდება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოხატულია რომაული ან არაბული ციფრებით, სახელწოდების აღნიშვნაში უნდა მიეთითოს მისი სიტყვიერი შესატყვისი.“

7. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოდან მიიღოს რეესტრიდან ამონაწერი. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან გაიცემა საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მომზადებისათვის „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში და საფასურის

გადახდის შემთხვევაში. ამონაწერი მზადდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის რეგისტრირებული სუბიექტის, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა შეზღუდვის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს. შეზღუდული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებების შემთხვევაში ამონაწერი ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პარტნიორთა წილებზე მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს.“

8. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთერთობაში.

9. მე-14 მუხლის

ა) პირველი და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მეწარმე იურიდიული პირის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. პარტნიორებს, ასევე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს), შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები).“

„8. საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე განცხადებისა და უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოების/ ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე.“;

ბ) მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-10², მე-10³ და 10⁴ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10². თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს ხარვეზის დადგენის შესახებ, სუბიექტს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას, რის თაობაზეც მიეთითება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების

რეესტრში. ხარვეზის გამოსწორებამდე რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება ჩერდება და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა.“

„10³. თუ ამ მუხლის 10² პუნქტით განსაზღვრული ხარვეზი დადგენილ ვადაში არ გამოსწორდა ან შეუძლებელია მისი გამოსწორება, მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს რეგისტრირებული საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც ახორციელებს ამ მუხლის მე-3–მე-6 და მე-8 პუნქტებით დადგენილ პროცედურებს.“

„10⁴. ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია მისი განცხადება, ასევე ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება ან ქმედუუნაროდ აღიარება. ასეთ შემთხვევაში რეგისტრაცია წარმოებს მხოლოდ გარდაცვალების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ნებისმიერი პირის/ორგანოს მოთხოვნით ან მარეგისტრირებელი ორგანოს ინიციატივით.“

მუხლი 2.

1. კომანდიტური საზოგადოება და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, რომლებმაც განახორციელეს კომანდიტური საზოგადოების მონაცემებში წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაცია, ვალდებული არიან გადასცენ ეს მონაცემები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ამ კანონის გამოქვეყნებიდან 15 დღის განმავლობაში. კომანდიტურ საზოგადოებას და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა წარუდგენლობით გამოწვეული ზიანისათვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა წარდგენა არ ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ცვლილების რეგისტრაციად და მომსახურების საფასური არ გადაიხდევენება.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა მე-2 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.
2. ამ კანონის მე-2 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.